**პრესრელიზი**

3 აპრილს, 15:00 საათზე, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მოხსენებას წაიკითხავს ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ნუგზარ პაპუაშვილი, ბაგრატიონთა ტახტის აღდგენის მცდელობის თემაზე, გერმანიაში მოძიებული მასალის საფუძველზე.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენელთა მემკვიდრეები ბავარიაში პრივატულად ისეთ წერილობით დოკუმენტებს ინახავენ, რომელთა მეცნიერული მნიშვნელობა თვალსაჩინოა. ასეთია, მაგალითად, მე-20 საუკუნის 40-50-იანი წლების გერმანიის ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარის გიორგი მაღალოვის (მაღალაშვილის) არქივი; დღეისათვის განსაკუთრებით აქტუალურად გამოიყურება საქართველოს სამეფო გვარის გენეალოგიური ტაბულა ერეკლე II-იდან 1942 წლამდე. დოკუმენტი დაბეჭდილია ბერლინში. ახლავს მოწოდება, თავად სვიმონ ციციშვილის ხელმოწერით, რომელშიც აღნიშნულია ძალების საყოველთაო მობილიზაციის აუცილებლობა ბაგრატიონთა სამეფო ტახტის აღდგენისა და ახალ პოლიტიკურ ქარტეხილებში საქართველოს გადარჩენის მიზნით.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი მუდმივად და აქტიურად არის ჩართული უცხოეთში დაცული სხვადასხვა ქართული ხელნაწერების თუ საბუთების შესწავლაში. ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, ნუგზარ პაპუაშვილის კვლევაც გერმანიაში არანაკლებ მნიშვნელოვან წონას ჰმატებს ისტორიულ მეცნიერებას, კერძოდ, ბაგრატიონთა ტახტის აღდგენისათვის ბრძოლის აღწერას.

#

**საკონტაქტო ინფორმაცია**

*მარიამ ჯაბიძე*, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 577 977 199

*მარია წერეთელი*, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 598 84 84 88

E-mail: pr@manuscript.ac.ge

Web: www.manuscript.ge